

ქ.ვანი. თავისუფლების ქ. N65

20 აგვისტო 2019 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსანდრე ლილუაშვილი**.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, რამაზ არველაძე, ტარიელ ბარამიძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, გელა ჩიკვაძე, ეთერ ჭიჭინაძე, გელა ღვიტიძე. (დანართი N¹).

სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდნენ: კობა მაგნიძე, ვლადიმერ ჭვალაძე.

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში - **ლუბა გოგოძე**.

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ივანე მამფორია**.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის

მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - **ზაზა ოჩხიკიძე**.

სხდომა 14⁰⁰-საათზე გახსნა საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა და წარმოადგინა 2019 წლის 20 აგვისტოს სხდომის დღის წესრიგი.

1. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოყენებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, მისი წარმოების, გამოყენების, აღრიცხვა-ანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელი: / ბესარიონ ახვლედიანი/

2. ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე მუსიკალური სასწავლებლის შენობის (ს/კ 31.01.26.240) პირველ სართულზე არსებული 391,23 კვმ ფართიდან, 179,49 კვმ ფართის ა(ა)იპ „ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: /ზვიად კაპანაძე/

3. ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის 6- თვის შესრულების და სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

მომხსენებელი: /ივანე მამფორია/

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა 2019 წლის 20 აგვისტოს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე - 10

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით სიტყვა ითხოვა საკრებულოს იურიდიულ სამადანტო, საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ გელა ჩიკვაიძემ.

გელა ჩიკვაიძე: ამ საკითხთან დაკავშირებით ვიმსჯელებთ კომისიის სხდომაზე და გადაწყვეტით რომ შევაჩეროთ ეს დადგენილება, რადგან ჩვენი აზრით დასახვეწია და შესაცვლელია წარმოდგენილი პროექტი. ვიმუშავებთ და წარმოგიდგენთ შეცვლილ პროექტს მომდევნო სხდომაზე.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა წარმოთქმულ წინადადებას.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -10

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი არ იქნას საკრებულოს 2019 წლის 21 აგვისტოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით სიტყვით გამოვიდა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ზაზა ოჩხიკიძე, (ზვიად კაპანაძის საპატიო მიზეზით არყოფნის გამო)რომელმაც წაროადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე მუსიკალური სასწავლებლის შენობის (ს/კ 31.01.26.240) პირველ სართულზე არსებული 391,23 კვმ ფართიდან, 179,49 კვმ ფართის ა(ა)იპ „ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.“ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“ ძველი საავადმყოფოს შენობიდან გადადის მუსიკალური სასწავლებლის შენობის პირველ სართულზე, მათთვის გამოყოფილ ფართში, რაზეც გვჭირდება საკრებულოს თანხმობა.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -10

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2019 წლის 21 აგვისტოს სხდომის დღის წესრიგში.

მომხსენებელმა ზაზა ოჩიკვიძემ, დღის წესრიგის გარეშე კიდევ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის, საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრისა და მუნიციპალური საკუთრების ობიექტების პრივატიზების პროცესების დაჩქარებისა და მოწესრიგების ღონისძიებების თაობაზე.“ მომხსენებელმა თხოვა საკრებულოს წევრებს ეს საკითხი განხილულიყო შესაბამის კომისიაზე და შეეტანათ საკრებულოს 21 აგვისტოს სხდომის დღის წესრიგში

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა წარმოდგენილ საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე 10

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2019 წლის 21 აგვისტოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის მე-3 საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წამოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის 6- თვის შესრულების და სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.“

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 7400,0 ათასი ლარის ოდენობით. 6 თვის განმავლობაში ბიუჯეტში იქნა შეტანილი ცვლილებები და შემოსულობები დაზუსტდა 12967,4 ათასი ლარით, გადასახდელები 16584,1 ათასი ლარის ხოლო ნაშთის ცვლილება -3616,7 ათასი ლარის მოცულობით.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -10

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2019 წლის 21 აგვისტოს სხდომის დღის წესრიგში.

ამით ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მორიგმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე